



# ფინანსური აუდიტის ანგარიში





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**„პაშტაქიშვილი“**

სოციალური სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი  
ზაზა შეყილაძე

25 დეკემბერი 2020 წელი

N41/36

ეგზ. N1

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს  
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგების  
აუდიტის ანგარიში

## შინაარსი

|                 |                                                                 |    |
|-----------------|-----------------------------------------------------------------|----|
| ძირითადი ნაწილი | ტერმინები და შემოკლებები                                        | 2  |
|                 | ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ                      | 3  |
| დანართები       | მოსაზრება                                                       | 5  |
|                 | 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი                                | 6  |
|                 | 2. სხვა გარემოებები                                             | 16 |
|                 | 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა                 | 18 |
|                 | ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 20 |
|                 | კონსოლიდირებული ერთეულები                                       | 37 |
|                 | საკონტაქტო ინფორმაცია                                           | 38 |

## ტერმინები და შემოკლებები

**სამინისტრო** – საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

**ცენტრალური აპარატი** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

**სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

**ა(ა)იპ** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

**შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

**სააგენტო** – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

**აღრიცხვის ინსტრუქცია** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია.<sup>1</sup>

**ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1** – ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).

**ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2** – ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.

<sup>1</sup> კონსოლიდირებული ვერსია (13.06.2019 – 20.02.2020).

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სამინისტრო ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, რითაც უზრუნველყოფს:

- )/ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას;
- )/ მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას;
- )/ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებას;
- )/ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელება/განხორციელების კოორდინაციას, მონიტორინგსა და შეფასებას კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში.

სამინისტროს 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:<sup>2</sup>

### ცხრილი N1. დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტი და საკასო ხარჯი

| დასახელება                  | დამტკიცებული  | დაზუსტებული   | საკასო        | შესრულება |
|-----------------------------|---------------|---------------|---------------|-----------|
|                             | 1             | 2             | 3             | 3/2       |
| ჯამური                      | 1,639,500,000 | 1,549,907,167 | 1,540,053,620 | 99%       |
| ხარჯები                     | 1,457,301,000 | 1,413,714,562 | 1,404,298,766 | 99%       |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 182,199,000   | 134,225,055   | 133,787,304   | 100%      |
| ფინანსური აქტივების ზრდა    | 0             | 0             | 0             | 0         |

სამინისტრო ახორციელებს 15 პროგრამას.

### ცხრილი N2. ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ

| კოდი  | დასახელება                                                                                                  | დამტკიცებული | დაზუსტებული | საკასო      | შესრულება |
|-------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|-------------|-------------|-----------|
|       |                                                                                                             | 1            | 2           | 3           | 3/2       |
| 32 01 | განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 35,159,000   | 34,573,519  | 34,163,283  | 99%       |
| 32 02 | სკოლამდელი და ზოგადი განათლება                                                                              | 845,460,000  | 834,472,012 | 834,309,487 | 100%      |
| 32 03 | პროფესიული განათლება                                                                                        | 48,690,000   | 43,592,229  | 43,298,857  | 99%       |
| 32 04 | უმაღლესი განათლება                                                                                          | 168,960,000  | 161,291,941 | 161,198,976 | 100%      |
| 32 05 | მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა                                                             | 65,470,000   | 63,291,136  | 62,857,317  | 99%       |
| 32 06 | ინკლუზიური განათლება                                                                                        | 17,710,000   | 19,158,912  | 19,087,702  | 100%      |

|             |                                                                                  |                      |                      |                      |      |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|----------------------|------|
| 32 07       | ინფრასტრუქტურის განვითარება                                                      | 135,500,000          | 118,034,335          | 110,916,658          | 94%  |
| 32 08       | ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები                        | 7,400,000            | 3,044,485            | 3,044,445            | 100% |
| 32 09       | სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა                               | 6,670,000            | 6,492,332            | 6,368,200            | 98%  |
| 32 10       | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                                                 | 68,702,000           | 73,650,041           | 73,498,898           | 100% |
| 32 11       | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა                     | 21,064,000           | 26,206,520           | 26,154,446           | 100% |
| 32 12       | მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია              | 116,200,000          | 124,566,160          | 124,428,584          | 100% |
| 32 13       | კულტურისა და სპორტის მოდერნიზაციის სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები | 32,170,000           | 29,816,500           | 29,816,100           | 100% |
| 32 14       | ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი                                | 70,345,000           | 9,347,391            | 9,347,388            | 100% |
| 32 16       | სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო                                                    | 0                    | 2,369,654            | 1,563,279            | 66%  |
| <b>სულ:</b> |                                                                                  | <b>1,639,500,000</b> | <b>1,549,907,167</b> | <b>1,540,053,620</b> |      |

**ცხრილი N3.** ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი

| დასახელება                  | დაზუსტებული | საკასო      | შესრულება |
|-----------------------------|-------------|-------------|-----------|
|                             | 1           | 2           | 2/1       |
| ჯამური                      | 458,659,303 | 370,259,888 | 81%       |
| ხარჯები                     | 379,242,791 | 334,638,886 | 88%       |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 79,416,512  | 35,621,002  | 45%       |

<sup>2</sup> N1 და N2 ცხრილი არ მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებულ სახსრებს.

## სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას

### დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

#### მოსაზრება

##### პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების<sup>3</sup> (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>4</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების<sup>5</sup> შესაბამისად.

<sup>3</sup> იხილეთ დანართი: კონსოლიდირებული ერთეულები.

<sup>4</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

<sup>5</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

## 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

### 1.1 კონსოლიდაცია

აღრიცხვის ინსტრუქციის<sup>6</sup> მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციები ელიმინირდება (გამორიცხება). სამინისტროს მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში არასრულად არის გამორიცხული/ელიმინირებული ჯგუფის შიგნით – კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები, კერძოდ:

- J ასევე, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების<sup>7</sup> მიერ ჯგუფის შიგნით, უსასყიდლოდ სხვადასხვა დასახელების აქტივების – კომპიუტერების, სასკოლო ინვენტარის და სხვა მატერიალური მარაგების გადაცემა, სულ – 25,363,483 ლარის ოდენობით;
- J სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს შორის განხორციელებული შიდაჯგუფური ოპერაცია – ხარისხის ცენტრის მიერ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ფარგლებში მიღებული შემოსავლები 44,500 ლარის ოდენობით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის წარმოადგენს ხარჯს.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი – **25,407,983 ლარით**.

### 1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

**ცხრილი N4.** ინფორმაცია სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების შესახებ

| დასახელება                           | ანგარიში | თანხა<br>31.12.2019 | თანხა<br>31.12.2018 |
|--------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები | 1300     | 46,575,172          | 45,989,338          |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები         | 1400     | 108,748,011         | 78,378,948          |

მოკლევადიანი აქტივების ძირითადი ნაწილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტების მიმართ დარიცხული სწავლის გადასახადებით წარმოქმნილი მოთხოვნები; ასევე სააგენტოსა და სამინისტროს სისტემის სხვა ორგანიზაციების მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მიმწოდებელი ორგანიზაციების მიმართ წინასწარი ანგარიშსწორებით წარმოშობილი მოთხოვნები.

### შემცირებული მოკლევადიანი მოთხოვნები

**სააგენტო** ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად გადარიცხული თანხებით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერას და ხარჯად აღიარებას ახორციელებს დაწესებულებებისგან ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. აუდიტის პროცესში ჯგუფს ვერ წარედგინა:

- J პროგრამა – „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების“ ფარგლებში,

<sup>6</sup> ინსტრუქციის 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

<sup>7</sup> სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.



### გაზრდილი მოკლევადიანი მოთხოვნები

უმაღლესი სასწავლებლებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გადარიცხული თანხებით წარმოქმნილი, 786,114 ლარის ოდენობის ჩამოწერილი დავალიანების მიხედვით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ს) პროგრამა – „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ფარგლებში ჩამოწერილი 50,972 ლარის დებიტორული დავალიანების მიხედვით ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

*შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი მოთხოვნების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 837,086 ლარით; ამავე თანხითაა გაზრდილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში ხარჯები.*

**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის** ბალანსში მოთხოვნები ზედმეტად გადახდილი გადასახადების მიხედვით ასახულია 37,253 ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც, გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემების მიხედვით ის შეადგენს – 900,813 ლარს.

*შედეგად, შემცირებულია ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი 863,560 ლარით.*

**ცენტრალური აპარატის** მიერ სასამართლო განხილვის პროცესში არსებული 526,344 ლარის დებიტორული დავალიანებები, ნაცვლად პირობითი აქტივებისა,<sup>8</sup> აღრიცხულია „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში, რითაც გაზრდილია დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი.

**ა(ა)იპ – პროფესიულ კოლეჯში „ჰორიზონტი“** სრულად არ არის ჩამოწერილი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი შენობის პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით მიმწოდებელთან წინასწარი ანგარიშსწორებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება. გადარიცხული 988,500 ლარიდან, საანგარიშო წელს მიღება-ჩაბარების აქტის<sup>9</sup> მიხედვით, შესრულებული სამუშაოს მოცულობა შეადგენს 50,150 ლარს, ხოლო კოლეჯის მიერ მოთხოვნილი შემცირებულია მხოლოდ 10,700 ლარით. *შედეგად, გაზრდილია მოთხოვნის საბოლოო ნაშთი – 39,450 ლარით.*

კოლეჯმა ასევე არასწორად განახორციელა ოპერაციის ასახვა „ძირითადი აქტივების“ მუხლში.<sup>10</sup> კერძოდ, შესრულებული სამუშაოს მიხედვით, წარმოქმნილი აქტივი დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშის ნაცვლად, ასახა არასაცხოვრებელი შენობის ანგარიშზე და ისიც მხოლოდ 10,700 ლარის ოდენობით, რის შედეგად გაზრდილია არასაცხოვრებელი შენობის ღირებულება 10,700 ლარის და შემცირებულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის ღირებულება – 50,150 ლარის ოდენობით; ნეტო შედეგი – შემცირებულია ძირითადი აქტივების ნაშთი 39,450 ლარით.<sup>11</sup>

**ზემოაღნიშნული უზუსტობების გავლენით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 1,134,852 ლარით.**

### 1.3 გრძელვადიანი აქტივები

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

<sup>8</sup> ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>9</sup> საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

<sup>10</sup> ძირითადის აქტივების მუხლზე უზუსტობის გავლენა ასახულია 1.3 ქვეთავის შემავსებელ ნაწილში.

<sup>11</sup> შეჯამება იხილეთ 1.3 ქვეთავის ბოლოს.



**ცხრილი N5. ინფორმაცია სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების შესახებ**

| დასახელება                                    | ანგარიში | თანხა<br>31.12.2019 | თანხა<br>31.12.2018 |
|-----------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები | 1500     | 100,825,083         | 98,327,138          |
| გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები            | 2200     | 10,989,140          | 12,772,416          |
| ძირითადი აქტივები                             | 2100     | 1,756,247,538       | 1,606,105,793       |
| ფასეულობები                                   | 2300     | 2,156,867           | 3,458,669           |
| არაწარმოებული აქტივები                        | 2400     | 581,587,769         | 539,254,564         |
| საინვესტიციო ქონება                           | 2500     | 719,614             | 0                   |

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების ძირითად ნაწილს შეადგენს ცენტრალური აპარატის და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული არასაცხოვრებელი შენობები, დაუმთავრებელი აქტივები და მიწა; გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების მუხლში აღრიცხული თანხის არსებით ნაწილს კი შეადგენს შპს „სპორტშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანები, რომელიც აღიარებულია აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით.

### შემცირებულად წარდგენილი აქტივები

**ა(ა)იბ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის“** მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული საქართველოს მთავრობის განკარგულებით<sup>12</sup> უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 45 წლის ვადით გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მდებარე ქ. ჩოხატაურში, გურამიშვილის ქუჩაზე<sup>13</sup> – 8,489 კვ.მ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში<sup>14</sup> – 11,100 კვ.მ.

**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის** სხვადასხვა დროს სარგებლობაში გადაცემული და რეგისტრირებული ქონება: მიწა – 334,891 კვ.მ და შენობა-ნაგებობები – 2,833 კვ.მ, არ არის შეფასებული და აღრიცხული ბალანსში შესაბამის ანგარიშებზე. ასევე ღირებულებითი შეფასების გარეშე აღრიცხული ბიოლოგიური აქტივები.<sup>15</sup>

არ არის შეფასებული და აღრიცხული **სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლის** შენობა,<sup>16</sup> რომელიც სსიპ-ს გადაეცა 1988 წელს და 2007 წლიდან მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და **სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის** შენობა.<sup>17</sup> ეკონომიკის სამინისტრომ 2017 წელს დაარეგისტრირა საკუთრების უფლება მოცემულ ქონებასა და არსებობის ვადით გადაეცა მუზეუმს. აღნიშნულ შენობას 2015 წლიდან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.<sup>18</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 ივნისის N1484 განკარგულება.

<sup>13</sup> საკადასტრო კოდი: 28.01.23.313.

<sup>14</sup> საკადასტრო კოდი: 28.11.22.331.

<sup>15</sup> 8 ცხენი.

<sup>16</sup> თბილისი, კარგარეთელის ქუჩა N6, საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.051.

<sup>17</sup> ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N43, საკადასტრო კოდები: 43.31.49.425 და 43.31.49.424.

<sup>18</sup> ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

არსებული მემკვიდრეობითი აქტივებისათვის დამახასიათებელია მათი მემკვიდრეობითი ფასეულობისაგან განსხვავებული მომსახურების პოტენციალი, ასეთი ფასეულობები განიხილება ძირითად აქტივებად და მათი აღიარება და შეფასება ძირითადი აქტივების ანალოგიურად ხორციელდება.

**სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლის** ბალანსში არ არის გამიჯნული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის ღირებულებები და აღრიცხულია არასაცხოვრებელი შენობების<sup>19</sup> ანგარიშზე 412 კვ.მ შენობა და მასზედ დამაგრებული 566 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საერთო ღირებულებით 1,227,554 ლარის ოდენობით; შესაბამისად, ცვეთა შენობა-ნაგებობებთან ერთად ერიცხება არაწარმოებულ აქტივს – მიწას, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.<sup>20</sup>

2019 წელს **სააგენტომ** დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშიდან ჩამოწერა პროგრამის – „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“ – ფარგლებში განხორციელებული თბილისის N2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 4,267,370 ლარის ოდენობით. სამუშაოების გადაცემაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 4,062,719 ლარი.

*შესაბამისად, 204,651 ლარით შემცირებულია ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი.*

**სააგენტოს** მიერ საჯარო სკოლებზე შემდგომი გადაცემის მიზნით შესყიდულ იქნა 12,500 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი),<sup>21</sup> ერთეულის ღირებულება – 509.90 ლარი. მოცემული რაოდენობიდან წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად გაიცა 9,470 ერთეული; აქედან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და საჯარო სკოლებზე – 9,469 ერთეული, ხოლო ერთი ერთეული გადაეცა სამინისტროს აპარატს.<sup>22</sup> სააგენტომ ნაცვლად აღნიშნული რაოდენობისა, ხარჯებში ჩამოწერა შესყიდული 12,500 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის სრული ღირებულება.

*შედეგად, წლის ბოლოს აქტივების ღირებულება შემცირებულია 1,544,997 ლარით – 3,030 ცალი ბუკის ღირებულებით,<sup>23</sup> ასევე ხარჯი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია იმავე თანხით.*

**სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიათ სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ბალანსზე ასახულია** 2018 წლიდან<sup>24</sup> ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უვადოდ გადაცემული ქ.ფოთში, შოთა რუსთაველის რკალის N28-ში მდებარე 5,143 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული თეატრის შენობა.<sup>25</sup>

2019 წელს მესაკუთრემ, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო შენობაზე კაპიტალური სარემონტო სამუშაოების წარმოება. წლის ბოლოსათვის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებისა და ინსპექტირების ანგარიშების

<sup>19</sup> თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N28, საკადასტრო კოდი: 01.18.03.040.032.

<sup>20</sup> ინსტრუქციის 152-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

<sup>21</sup> 2019 წლის 1 აპრილის N320212/05/50 ხელშეკრულება.

<sup>22</sup> 2019 წლის 30 აგვისტოს N74 ბრძანება.

<sup>23</sup> 12,500 – 9,470 (ბუკი).

<sup>24</sup> 2018 წლის 6 მარტის N1 თხოვნების ხელშეკრულება.

<sup>25</sup> საკადასტრო კოდი: 04.02.08.087.

მიხედვით განხორციელდა 521,297 ლარის სამუშაოები.<sup>26</sup> გაწეული სამუშაოები არ აისახა თეატრის მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, არ განხორციელდა სამუშაოების კაპიტალიზაცია – შენობის ღირებულების ზრდა.<sup>27</sup> ამასთანავე, ცვეთის ხელახალი გადაანგარიშებით გამოვლინდა, რომ გასულ წლებში შენობაზე ცვეთის დარიცხვა ნაცვლად წრფივი მეთოდისა,<sup>28</sup> ხორციელდებოდა შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე.

*აღნიშნული უზუსტობების შედეგად, ბალანსში ძირითადი აქტივების, კერძოდ, არასაცხოვრებელი შენობების ანგარიშის საწყისი ნაშთი გაზრდილია 46,308 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი შემცირებულია 471,010 ლარის ოდენობით; მოცემულ უზუსტობებს გავლენა აქვს კაპიტალის საბალანსო ანგარიშის ნაშთებზე, კერძოდ, საწყისი ნაშთი გაზრდილია 46,308 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – შემცირებულია 471,010 ლარით.*

**სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს** არ განუხორციელებია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 1,483,840 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოების გადაცემა სსიპ – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის მის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივების ღირებულების გაზრდის (კაპიტალიზაციის) მიზნით. შედეგად, კონსოლიდირებული ბალანსის ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 1,483,840 ლარის ოდენობით.

### გაზრდილი ღირებულებით წარდგენილი აქტივები

**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის** მიერ 2011 წელს განხორციელდა თბილისში, გიორგი წერეთლის ქ. N3-ში მდებარე ყოფილი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობის<sup>29</sup> გადაფასება. შენობის ცვეთის გაანგარიშებისას არ იყო გათვალისწინებული აღნიშნული გადაფასება, რის შედეგადაც ფინანსურ ანგარიშგებაში შენობის საწყისი ნაშთი გაზრდილია 479,016 ლარით, საბოლოო – 882,299 ლარით.

არასწორად განხორციელდა გასულ წლებში დარიცხული ცვეთის სააღრიცხვო კორექტირება, რის შედეგად ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით წარდგენილი ხარჯი შემცირებულია სულ 536,371 ლარის ოდენობით, მათ შორის, საანგარიშო წლის ცვეთის არასწორად დაანგარიშებით – 46,763 ლარი.<sup>30</sup>

2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა ჩამოსაწერი და შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი 39,113 ლარის ნარჩენი ღირებულების აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ბალანსზე. აღნიშნული ქონებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს;<sup>31</sup>

<sup>26</sup> ბეტონისა და ლამინირებული იატაკის, მეტლახის ფილების დემონტაჟი-მოწყობა, კედლისა და ჭერის დემონტაჟი, შეღებვა-შელესვა, სახურავის თბოიზოლაციის, მინის სახურავის დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, შენობის ფასადის შეღებვა და ა.შ.

<sup>27</sup> ინსტრუქციის 151-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>28</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20020 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი მე-3.

<sup>29</sup> საკადასტრო კოდი: 01.14.07.010.007.

<sup>30</sup> აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობის გარდა.

<sup>31</sup> ინსტრუქციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

შედეგად, ბალანსში ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 968,175 ლარის<sup>32</sup> ოდენობით; ასევე, კაპიტალის საბოლოო ნაშთი გაზრდილია იმავე თანხით.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ **სსიპ – თელავის ისტორიული მუზეუმის** ახალი შენობის მშენებლობა განხორციელდა ორ ფაზად, 2013 წელს I ფაზა – 4,468,341 ლარის, 2017 წლის ბოლოს II ფაზა – 6,438,037 ლარის ოდენობით. მუზეუმის მიერ შესაბამის საბალანსო ანგარიშზე აქტივი ნაცვლად 2017 წლისა, აღიარებულ იქნა და ცვეთის დარიცხვა დაიწყო 2018 წელს. აქედან გამომდინარე, ბალანსში ძირითადი აქტივების - არასაცხოვრებელი შენობების ანგარიშის საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია 109,064 ლარით; ასევე, იმავე თანხით გაზრდილია კაპიტალის ანგარიშის ნაშთები.

მარაგების აღრიცხვის არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გამო, **სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში პროგრამის – „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ – ფარგლებში სახელმძღვანელოების საბოლოო ნაშთის თვითღირებულება გაზრდილია 97,908 ლარით, კერძოდ, ნაშთის თვითღირებულება დაანგარიშებული არ არის „ფიფო“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც სააგენტოს უნდა გამოეყენებინა ყველა იმ მატერიალური მარაგებისათვის, რომლებსაც მსგავსი ბუნება და დანიშნულება აქვს.<sup>33</sup>

შედეგად, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია 97,908 ლარით; ასევე, ხარჯი იმავე თანხით, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში.

**სააგენტოს** მიერ სააღრიცხვო რეგისტრებში არ არის ჩამოწერილი:

- 1) 2019 წელს რესურსცენტრებზე, სამინისტროს აპარატსა და ა.შ. მიღება-ჩაბარების დოკუმენტების შესაბამისად გადაცემული 78,204 ლარის ღირებულების ტექნიკა – პერსონალური კომპიუტერები;
- 2) 2018 წელს საჯარო სკოლის პირველკლასელებზე გადაცემული 300,324 ლარის პორტაბელური კომპიუტერები.

შედეგად, ბალანსში აქტივების საწყისი ნაშთი გაზრდილია 300,324 ლარით, საბოლოო – 378,528 ლარით; შემცირებულია ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში ხარჯები 78,204 ლარით, ასევე გაზრდილია კაპიტალის საბოლოო ნაშთი 378,528 ლარის ოდენობით.

შედეგად, **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში** ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 2,190,273 ლარით.<sup>34</sup>

## ლიკვიდირებული ორგანიზაციები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში<sup>35</sup> ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსებზე რიცხული აქტივების ნაშთები სხვადასხვა საბალანსო ანგარიშების მიხედვით, მათ შორის: არასაცხოვრებელი შენობები და მიწა, სულ – **908,432 ლარის** ოდენობით. მიღებული განმარტებით, სამინისტრო არ ფლობს აღნიშნული აქტივების

<sup>32</sup> 882,299+46,763+39,113 (ლარი).

<sup>33</sup> ინსტრუქციის 156-ე მუხლის მე-18 პუნქტი.

<sup>34</sup> შედეგის ჯამური თანხა მოიცავს 1.2 ქვეთავში აღწერილი უზუსტობის გავლენას 39,450 ლარის ოდენობით.

<sup>35</sup> 2002-2010 წლამდე პერიოდში.

ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას და გასულ წლებში არც ინვენტარიზაცია ჩატარებული.

#### 1.4 ვალდებულებები

სამინისტროს ვალდებულებების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

**ცხრილი N6.** ინფორმაცია სამინისტროს ვალდებულებების შესახებ

| დასახელება                                                        | ანგარიში | თანხა<br>31.12.2019 | თანხა<br>31.12.2018 |
|-------------------------------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                              | 3100     | 17,277              | 18,430              |
| სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                       | 3200     | 55,380,650          | 51,678,317          |
| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები | 3300     | 5,785,273           | 2,256,074           |

ვალდებულებების არსებითი ნაწილი აღრიცხულია უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბალანსზე და წარმოადგენს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე სწავლის გადასახადის და სამეცნიერო გრანტების მიხედვით წინასწარ მიღებულ თანხებს.

#### გაზრდილი ვალდებულებები

**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს** ბალანსში ასახული აქვს 166,042 ლარის საგადასახადო ვალდებულების საბოლოო ნაშთი, რომელიც არ შეესაბამება გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემებს, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტს საგადასახადო ვალდებულება არ ერიცხება.

**სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის** მიერ 8,986 ლარის ჯამური საგადასახადო ვალდებულების ნაცვლად ბალანსში ასახულია 14,606 ლარის ვალდებულება – 5,620 ლარით მეტი.

*შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N1-ში გაზრდილია სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი – 171,662 ლარის ოდენობით.*

#### 1.5 ხარჯები

**სააგენტო** საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის/სკოლებისთვის მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სარემონტო სამუშაოებისათვის გადარიცხული თანხების აღიარებას ახორციელებს მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე, რომლებიც ჩამოიწერება სკოლების მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. 2019 წელს სააგენტომ 820,319 ლარის მოთხოვნები ჩამოიწერა და ხარჯად აღიარა გასული – 2017 და 2018 წლების საანგარიშგებო პერიოდების დოკუმენტაციის საფუძველზე, რითაც მოხდა ხარჯების მიკუთვნება არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე.<sup>36</sup>

<sup>36</sup> ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი.



აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 820,319 ლარით გაზრდილია მიმდინარე „გრანტების“ მუხლით წარდგენილი ხარჯები.

**სააგენტომ** 2019 წლის იანვარში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ხარჯად აღიარა 2018 წლის დეკემბერში პროგრამა – „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ფარგლებში გაწეული მომსახურებით და სასკოლო ავეჯის მიწოდებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების შემცირება, სულ – 2,055,712 ლარის ოდენობით. უზუსტობის გავლენით, ბალანსის დანართ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით წარდგენილი ხარჯები გაზრდილია 2,055,712 ლარით. ამავე თანხით ფორმა N1-ში გაზრდილია მოკლევადიანი მოთხოვნების საწყისი ნაშთი.

**შედეგად, ასევე ზემოაღნიშნულ სხვადასხვა საბალანსო მუხლებში აღწერილი უზუსტობების გავლენით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია წარდგენილი ხარჯები, სულ – 4, 741, 447 ლარით.**

## 1.6 კაპიტალი

ორგანიზაციის საერთო საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული დამაბალანსებელი მუხლები – „წმინდა ღირებულების“ (5100) და „საკუთარი კაპიტალის“ (5200) ანგარიშები, სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშგების კაპიტალის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

### ცხრილი N7. კაპიტალის სტრუქტურა

| დასახელება                  | ანგარიში | თანხა<br>31.12.2019  | თანხა<br>31.12.2018  |
|-----------------------------|----------|----------------------|----------------------|
| აქტივების წმინდა ღირებულება | 5100     | 2,419,490,197        | 2,211,826,354        |
| გაუნაწილებელი მოგება        | 5220     | 390,381,326          | 349,728,195          |
| დაუფარავი ზარალი            | 5230     | 0                    | 0                    |
| <b>სულ კაპიტალი:</b>        |          | <b>2,809,871,523</b> | <b>2,561,554,549</b> |

ზემოაღნიშნულ კომპონენტებში განხილულ სააღრიცხვო უზუსტობებს აქვს შემდეგი გავლენა კაპიტალის საბალანსო ანგარიშის საბოლოო ნაშთზე:

- ⌋ ხარჯების სააღრიცხვო უზუსტობებით შემცირებულია 2,479,991 ლარით, გაზრდილია – 378,528 ლარით;<sup>37</sup>
- ⌋ ძირითადი აქტივების ცვეთის თანხის არასწორად გაანგარიშებით გაზრდილია 1,038,126 ლარით;<sup>38</sup>
- ⌋ გრძელვადიანი აქტივების სააღრიცხვო უზუსტობებით გაზრდილია 39,113 ლარით, შემცირებულია – 471,010 ლარით.<sup>39</sup>

**შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში შემცირებულია წმინდა ღირებულების ანგარიში 1,495,234 ლარით.**

## 1.7 არასწორი კლასიფიკაცია

სსიპ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებად არ არის კლასიფიცირებული შემოსავლის მიღების მიზნით გასულ წლებში იჯარით

<sup>37</sup> დეტალურად იხილეთ საკითხი 1.5.

<sup>38</sup> დეტალურად იხილეთ საკითხი 1.3.

<sup>39</sup> დეტალურად იხილეთ საკითხი 1.3.

გაცემული<sup>40</sup> 590,187 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა (425 კვ.მ საერთო ფართი) და 273 კვ.მ მიწის ნაკვეთი – ღირებულებით 9,828 ლარი. მოცემული აქტივები ბალანსში ასახულია არაწარმოებული აქტივების – მიწის საბალანსო ანგარიშსა და ძირითადი აქტივების „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშებზე.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშების ფორმა N1-ში გაზრდილად არის წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი 690,940 ლარით (არასწორად დარიცხული ცვეთის კორექტირების გათვალისწინებით), „არაწარმოებული აქტივების“ – 9,828 ლარით, ხოლო „საინვესტიციო ქონების“ საბალანსო ანგარიშის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 600,015 ლარის ოდენობით.

სააგენტო შემდგომში სხვა ერთეულებზე გადაცემის მიზნით შეძენილ სხვადასხვა დასახელების საქონელს, მათ შორის, სასკოლო ინვენტარსა და ტექნიკას, ნაცვლად მატერიალური მარაგებისა,<sup>41</sup> აღრიცხავს გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე.<sup>42</sup>

შედეგად, წარდგენილი ფინანსური ანგარიშების ფორმა N1-ში მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები – მატერიალური მარაგების საბალანსო ანგარიშზე რეკლასიფიკაციას ექვემდებარება საწყისი ნაშთის მიხედვით 2,873,268 ლარის, ხოლო საბოლოო – 3,415,549 ლარის აქტივები.

სააგენტო პროგრამის – „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ – ფარგლებში ახორციელებს სახელმძღვანელოების შეძენას და მათ ტრანსპორტირებას საგანმანათლებლო დაწესებულებამდე. ფინანსური ანგარიშების ფორმა N2-ში 431,736 ლარის სახელმძღვანელოების ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯი, ნაცვლად „გრანტების“ მუხლისა (რადგან ტრანსპორტირების ხარჯი ემატება სახელმძღვანელოების თვითღირებულებას და მათი გადაცემისას/ჩამოწერისას აღიარდება გრანტის სახით), ასახულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

## 1.8 საცნობარო მუხლები

სასამართლო განხილვის სტადიაში მყოფი საქმეების მიხედვით, მოთხოვნები – 1,416,787 ლარის და ვალდებულებები – 68,000 ლარის ოდენობით, არ არის ასახული შესაბამის საცნობარო მუხლებში<sup>43</sup> – „პირობითი აქტივები“ და „პირობითი ვალდებულებები“.

**ცხრილი N8.** აღურიცხავი პირობითი აქტივები და ვალდებულებები ორგანიზაციების მიხედვით

| დასახელება          | პირობითი აქტივი  | პირობითი ვალდებულება |
|---------------------|------------------|----------------------|
| სამინისტროს აპარატი | 568,817          | 68,000               |
| სააგენტო            | 847,970          | 0                    |
| <b>სულ:</b>         | <b>1,416,787</b> | <b>68,000</b>        |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დანართი N1-ის<sup>44</sup> მიხედვით, საცნობარო მუხლის ვადაგადაცილებული დავალიანებების 09 ანგარიშზე

<sup>40</sup> ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-8 პუნქტი, 176-ე მუხლი.

<sup>41</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

<sup>42</sup> ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები.

<sup>43</sup> ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

<sup>44</sup> ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებსა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ.



ასახული 134,280,285 ლარი მოიცავს 2019 წელს წარმოქმნილ დავალიანებებს – **76,048,638 ლარის** ოდენობით, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს ორგანიზაციების მიერ წინასწარ მიღებული თანხებით წარმოქმნილ ვალდებულებებს. აღნიშნულ მუხლში კი აღირიცხება საანგარიშო წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება.<sup>45</sup>

**სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის** მიერ საცნობარო მუხლში არ არის ასახული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აქტივების დანაკლისები.<sup>46</sup>

**ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის“** მიერ ფინანსური ანგარიშგების დანართ N1-ში წლის ბოლოს წარდგენილი საცნობარო მუხლის – ამორტიზებული ძირითადი აქტივების N08 ანგარიშის ნაშთი, შეცდომის გამო შემცირებულია 20,529 ლარით.

*აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*

<sup>45</sup> ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

<sup>46</sup> საცნობარო მუხლების შესაბამისად გამოვლენილი - 7,669 ლარი.

## 2. სხვა გარემოებები

### 2.1 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების იდენტიფიცირება, ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში (ბალანსში) ასახული ყველა მუხლის არსებობასა და სისრულეზე რწმუნების მიღებას. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

2019 წელს არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია სააგენტოსა და სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ინვენტარიზაცია ჩატარდა ნაწილობრივ:

- )/ სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიაშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში – მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის საბალანსო ანგარიშების მიხედვით;
- )/ სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში – მხოლოდ ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, მატერიალური მარაგების გარკვეული რაოდენობის (საწყობის, წიგნის მაღაზიის და ა.შ.) შესაბამისად.

### 2.2 სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით არ არის შემუშავებული და დამტკიცებული<sup>47</sup> ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა.<sup>48</sup>

აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალეები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის წესების და სხვ. აქედან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცავს და უზრუნველყოფს შესაბამის და საიმედო ინფორმაციას იმ ოპერაციების, სხვა მოვლენების ან მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.<sup>49</sup>

ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული:

- )/ ინსტრუქციის<sup>50</sup> შესაბამისად დადგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- )/ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი/შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივების – სისტემების/მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაცია.<sup>51</sup>

**ცხრილი N9.** საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივები

<sup>47</sup> ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>48</sup> ინსტრუქციის მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>49</sup> ინსტრუქციის მე-12 მუხლი.

<sup>50</sup> ინსტრუქციის 52-ე მუხლი.

<sup>51</sup> ინსტრუქციის 161-ე მუხლი.

**ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული სისტემები**

- 1 გრიფირების ელექტრონული სისტემა
- 2 ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - eSchool

**პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული სისტემები**

- 3 პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- 4 პროფესიული განათლების მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ბაზა - მართვის სისტემის სპეციალური პროგრამა
- 5 პროფესიული მომზადება-გადამზადების ელექტრონული სისტემა

**უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული სისტემა**

- 6 უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- 7 მობილობის ელექტრონული პორტალი
- 8 ხარისხის მართვის სპეციალური პროგრამა - QMS

**2.3 სახელფასო დანამატები**

სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლისა და სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის მიერ საანგარიშო წელს თანამშრომლებზე გაცემული სულ – 53,485 ლარის სახელფასო დანამატის მიხედვით ვერ იქნა წარმოდგენილი თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად სამუშაოების შესრულების და დამატებითი ფუნქციური დატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

**ცხრილი N10.** გაცემული დანამატი ორგანიზაციების მიხედვით

| N           | დაწესებულება       | დასახელება              | დანამატის ოდენობა |
|-------------|--------------------|-------------------------|-------------------|
| 1           | ხელოვნების სასახლე | საგანმანათლებლო პროექტი | 29,315            |
| 2           | ხელოვნების სასახლე | სხვა პროექტის ფარგლებში | 6,527             |
| 3           | დადიანების მუზეუმი | -                       | 17,643            |
| <b>სულ:</b> |                    |                         | <b>53,485</b>     |

შედეგად, სახელფასო დანამატის გაცემის პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას.

### 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

#### ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## აუდიტორები

ლალი სეხნიაშვილი  
წამყვანი აუდიტორი

თამარ ბაბუნაშვილი  
აუდიტორი

ნანა ფიფია  
აუდიტორი

ვიქტორია არუთინოვი  
აუდიტორი

მარიამ ზოზირაშვილი  
აუდიტორ-ასისტენტი

## ხელმოწერა

ლ. სეხნიაშვილი

თ. ბაბუნაშვილი

ნ. ფიფია

ვ. არუთინოვი

მ. ზოზირაშვილი

## ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

### ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

| დასახელება                                                          | ანგარიში  | 31.12.2019           | 31.12.2018           |
|---------------------------------------------------------------------|-----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                                                     |           |                      |                      |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                                        |           |                      |                      |
| ფულადი სახსრები                                                     | 1100-1200 | 240 189 852          | 209 586 692          |
| სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                | 1300      | 46 575 172           | 45 989 338           |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                                        | 1400      | 108 748 011          | 78 378 948           |
| სხვა მატერიალური მარაგები                                           | 1620      | 23 015 677           | 21 633 812           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები:</b>                                   |           | <b>418 528 712</b>   | <b>355 588 790</b>   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                        |           |                      |                      |
| გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები                       | 1500      | 100 825 083          | 98 327 138           |
| 00               | ჯამური                                                                      | 458,659,302.61    | 409,479,875.28     | 370,259,887.95 |
| 2                | ხარჯები                                                                     | 379,242,790.79    | 357,697,516.85     | 334,638,885.58 |

|             |                                                     |                |                |                |
|-------------|-----------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         | 79,416,511.82  | 51,782,358.43  | 35,621,002.37  |
| 32 08 02 02 | სსიპ – ზაფხუთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი     |                |                | აკლდება        |
| 00          | ჯამური                                              | 144,911.00     | 144,908.61     | 144,908.61     |
| 2           | ხარჯები                                             | 136,461.00     | 136,458.62     | 136,458.62     |
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         | 8,450.00       | 8,449.99       | 8,449.99       |
| 32 16       | სსიპ – ახალგაზრდობის სააგენტო                       |                |                | აკლდება        |
| 00          | ჯამური                                              | 162,089.00     | 55,497.01      | 55,497.01      |
| 2           | ხარჯები                                             | 120,539.00     | 55,497.01      | 55,497.01      |
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         | 41,550.00      |                |                |
| 32 17       | ა(ა)იპ – ათასწლეულის ფონდი                          |                |                | აკლდება        |
| 0           | ჯამური                                              | 3,586,000.00   | 690,618.55     | 689,535.41     |
| 2           | ხარჯები                                             | 3,561,000.00   | 690,618.55     | 689,535.41     |
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         | 25,000.00      |                |                |
| 32 02 01    | საჯარო სკოლების საკასო ხარჯები (ბანკის ოპერაციებით) |                |                | ემატება        |
| 00          | ჯამური                                              |                |                | 15,042,923.00  |
| 2           | ხარჯები                                             |                |                | 3,258,693.00   |
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         |                |                | 11,784,230.00  |
|             | 31.12.2019 წლის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსი    | გეგმა          | ვალდებულება    | გადახდა        |
| 00          | ჯამური                                              | 454,766,302.61 | 408,588,851.11 | 384,412,869.92 |
| 2           | ხარჯები                                             | 375,424,790.79 | 356,814,942.67 | 337,016,087.54 |
| 31          | არაფინანსური აქტივების ზრდა                         | 79,341,511.82  | 51,773,908.44  | 47,396,782.38  |

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

#### აქტივები

##### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს:

- ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულის ნაშთებს – სალარე და სავალუტე ანგარიშებზე;
- ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე – სალარე და სავალუტე ანგარიშებზე (კომერციულ ბანკში);
- ნაღდ ფულს სალაროში.

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ანგარიშების თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა ასახულია: საბიუჯეტო სახსრებით წარმოშობის შემთხვევაში საბოლოოდ ასახულია „წმინდა ღირებულების“ ანგარიშში N5100, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით წარმოშობის შემთხვევაში – „საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში“ N5210.

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების ხაზინის სავალუტო ანგარიშზე N1280 ჯამურად ფიქსირდება ცხრილის შესაბამისად თანხა. ნაშთში ასახული, ცალკეული ვალუტების მიხედვით ინფორმაცია ვალუტის, კურსების და თანხების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მითითებულ ცხრილში:

| კოდი  | კოდის დასახელება                                                     | ვალუტა | 31.12.2019 ვალუტა | კურსი  | 31.12.2019 ლარი |
|-------|----------------------------------------------------------------------|--------|-------------------|--------|-----------------|
| 32 00 | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო |        |                   |        | 3,802,516.95    |
| 32 00 | სამინისტრო                                                           | CHF    | 40,04             | 2.9488 | 118.07          |
| 32 00 | სამინისტრო                                                           | EUR    | 295,123.14        | 3.2095 | 947,197.72      |
| 32 00 | სამინისტრო                                                           | USD    | 995,641.51        | 2.8677 | 2,855,201.16    |

ფულად სახსრებში ასახულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტები - N1260 ანგარიშზე, რომლებზეც აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები, ამავდროულად ვალდებულებები (არ აღიარდება შემოსავლებად). ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხულ დეპოზიტებს საპროცენტო სარგებელი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს აღნიშნულ ანგარიშზე ირიცხებოდა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხა. ცხრილში დეტალურად არის მოცემული აღნიშნულ ანგ-ზე თანხების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია:

| სადეპოზიტო |                                                       | 01.01.2019 | კ            | დ            | 31.12.2019 |
|------------|-------------------------------------------------------|------------|--------------|--------------|------------|
| 7702       | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | 0          | 16,190.00    | 480.00       | 15,710.00  |
| 7709       | პერიოდის დასაწყისში კრედიტი დეპეტი პერიოდის ბოლოს     | 0.00       | 15,382.50    | 15,382.50    | 0.00       |
| 7710       | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი                    | 4,412.58   | 979,814.53   | 982,705.05   | 1,522.06   |
| 7799       | განუსაზღვრელი (განათლებისა და მეცნიერების სამინ.)     | 0.00       | 2,925.89     | 2,925.89     | 0.00       |
| სულ        |                                                       | 4,412.58   | 1,014,312.92 | 1,001,493.44 | 17,232.06  |

საანგარიშო პერიოდში სადეპოზიტო ანგარიშზე (7702, 7709, 7710, 7799 კოდებზე) წლის განმავლობაში ხაზინაში შემოვიდა 1,014,312.92 ლარი, ბიუჯეტში დაბრუნებულია 1,001,493.44 ლარი. ნაშთმა 31.12.2019 წლის მდგომარეობით შეადგინა 17,232.06 ლარი. აღნიშნული ნაშთი მიეკუთვნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 15710 ლარი და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 1522,06 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების სალდო შეცვლილია, ბალანსის სალდო წლის დასაწყისში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთთან **2'699'209'499 ლარი** შედარებით ჯამურად შემცირებულია **11'356'628** ლარით და შეადგინა - **2'687'852'871** ლარი, რაც გამოწვეულია, კერძოდ:

- )/ შემცირებულია 32 11 02 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით 1'459'443 ლარით;
- )/ შემცირებულია 32 04 06 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით - 358'872 ლარით;
- )/ გაზრდილია 32 03 01 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით - 207'273 ლარით;
- )/ შემცირებულია 32 08 02 01 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით 573'156 ლარით;
- )/ შემცირებულია 32 08 02 02 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით - 10'788'763 ლარით;
- )/ გაზრდილია 32 11 03 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით - 1'132'820 ლარით;
- )/ შემცირებულია 32 09 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით - 215'321 ლარით;
- )/ გაზრდილია და ცალკე პროგრამული კოდით გასულია 32 04 06 07 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით 686'254 ლარით;
- )/ გაზრდილია 32 12 04 - პრ. კოდის ჯამური სალდო 01.01.2019 წლის მდგომარეობით სპორტულ სახეობათა განვითარება (ქართულ გრანტი) **12'524** ლარი.

1. სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსიდან ამოღებულია (საწყისი ნაშთებიდან) და შემცირებულია 11'361'919 ლარით (573'156+10'788'763) წლის დასაწყისის ფინანსური ანგარიშგების სალდო, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების თანახმად, რადგან დაფუძნდა სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო. საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტო ჩაითვალა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფლებამოსილებად, მათ შორის, ქონებრივ საკითხებში და მათი ფუნქციები, უფლებამოსილებანი და მათ სარგებლობაში არსებული ქონება გადაეცეს სააგენტოს. შესაბამისად სამინისტროს ბალანსიდან ამოღებულია::

- o 32 08 02 01 - სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ნაშთები ჯამურად - 573'156 ლარი;
- o 32 08 02 02 - სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ნაშთები ჯამურად - 10'788'763 ლარით;

2. 2019 წლის 30 აპრილის საქართველოს მთავრობის N213 დადგენილების საფუძველზე:

- o სსიპ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი შეუერთდა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს,
- o სსიპ დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის და სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს;

შესაბამისად მათი საწყისი ნაშთები გადატანილია და ასახულია სამედიცინო უნივერსიტეტის და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ბალანსებში თავისი დაფინანსებებით:

- o სსიპ - თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი - 41'631.24 ლარი (კოდი 32 11 02 29);
- o სსიპ - მიხეილ შენგელიას სახ ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი - 53'824.87 ლარი (კოდი 32 11 02 22);
- o სსიპ - დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი - 9'476.78 ლარი (კოდი 32 11 02 12);
- o სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი - 26'948.64 ლარი (კოდი 32 11 02 14).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემცირებულია სამუზეუმო სისტემის ხელშეწყობის 2018 წლის ბოლოს (138'042'558 ლარი) არსებული ფინ. ანგარიშგების სალდო 1'459'443 ლარით, 2019 წლიურ ბალანსში (136'583'115) მ.შ.:

- o სსიპ - მიხეილ შენგელიას სახ ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის - 326'624 ლარით
- o სსიპ დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის - 268'187 ლარით;
- o სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის - 864'633 ლარით

გაზრდილია სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს სალდო წლის დასაწყისში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთთან შედარებით (42'855'599 ლარი) გაზრდილია 1'132'820 ლარით და შეადგინა - 43'988'419 ლარი,

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების - 32 04 06 08-19 ბალანსის სალდო წლის დასაწყისში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთთან შედარებით (687'450'166.00 ლარი) შემცირებულია 358,872.00 ლარით და შეადგინა - 687'091'294.00 ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია ფულად სახსრებში ცვლილებებით, ასევე სსიპ - მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის შეერთებით სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

4. პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა - 32 03 01 ბალანსის სალდო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთთან შედარებით (105'762'190 ლარი) გაზრდილია 207'273 ლარით და შეადგინა - 105'969'463 ლარი, მათ შორის:

- )/ სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი - 89'452;
- )/ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი - 117'821.

სსიპ გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა ვაუჩერით. აღნიშნული კოლეჯი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ბალანსს წარმოადგენდა წილობრივად, მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსების კუთხით, ხოლო ნაერთ ბალანსს წარადგენდა საქართველოს კულტურის სამინისტროში, რომელშიც შედიოდა განათლების სამინისტროს ბალანსში შემავალი ნაშთებიც. შესაბამისად 32 03 01 კოდის ნაერთი ბალანსის 2019 წლის 1 იანვრის საწყისი ნაშთი სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის



სახელობის სამუსიკო კოლეჯის კუთხით გაიზარდა კულტურისა და განათლების სამინისტროში ჩაბარებული ბალანსების სალდოს სხვაობით - 89'452 ლარით.

ასევე სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის ნაშთით - 117'821 ლარით, რომელიც ირიცხებოდა კულტურის - სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოდი-33 03 ბალანსში.

5. გაურკვეველ ანგარიშზე ჩარიცხული თანხებით, (როგორც საბიუჯეტო ასევე მიზნობრივი და არასაბიუჯეტო თანხები) რომლებიც ვერ იქნა აღიარებული ორგანიზაციების მიერ შემოსავლებად წინა 2018 საანგარიშო პერიოდში, მიმდინარე პერიოდში გაირკვა და ხაზინის მიერ დაისვა საწყის ფულის ნაშთის ანგარიშზე;

6. დაწესებულებების აუთენსიკაციის თანხების უკან ხაზინაში დაბრუნებით (როგორც მიზნობრივი გრანტის ასევე ეკონომიური საქმიანობით), რომლებიც აისახა წლის დასაწყისის ნაშთებში,

7. წლის მანძილზე განხორციელდა თანხების ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანა, დაზუსტება,

8. წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომების გასწორებით, კერძოდ:

**შემცირებულია** ანგ. N1240 – მიზნობრივი გრანტების ანგარიშზე საწყისი ფულის ნაშთი - **1'047'470** ლარით, ორგანიზაციების გასვლით, ხაზინაში მიზნობრივი გრანტების დაბრუნებითა და საწყის ნაშთებში ასახვიდან გამომდინარე, მათ შორის:

- სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალ-ის განვითარების ფონდის ამოღებულია - **182'808,13** ლარი;
- პროგრამა "მომავლის ბანაკი" - ამოღებულია **917'360,85** ლარი;
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - **38'703** ლარი;
- სამეცნიერო გრანტების გაცემისა და ს.კ. ხელშეწყობა (შ. რუსთაველის სფ) - **1'414** ლარი;
- სსიპ – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის - **60** ლარი;
- სპორტულ სახეობათა განვითარება (ქართულ გრანტი) **12'524** ლარი.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შეცვლილია ანგარიშების მიხედვით საწყისი ნაშთები. 09 ანგარიშზე ვადაგადაცილებულ დავალიანებად ჩათვლილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ვალდებულებები სრულად.

#### მიზნობრივი გრანტები

სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი გრანტების თანხების (ფულის) ნაშთმა ხაზინაში, ეროვნულ ვალუტაში, 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა **5'326'926** ლარი მიზნობრივი გრანტის ფულის ნაშთი 01.01.2019 წლის მდგომარეობით შეადგინა **4'279'457** ლარი. შესაბამისად შემცირებულია **1'047'470** ლარით. რის შესახებაც დეტალურად ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

| კოდი  | დასახელება                                        | ფულის<br>ნაშთი<br>01.01.2019 | 2019წ.<br>მიზნობრივი<br>გრანტის 7000<br>კოდზე<br>ჩამორიცხული<br>თანხები | ხარჯი         | ფულის ნაშთი<br>31.12.2019 |
|-------|---------------------------------------------------|------------------------------|-------------------------------------------------------------------------|---------------|---------------------------|
|       |                                                   |                              |                                                                         |               |                           |
| 32 00 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 4,279,456.86                 | 28,246,810.83                                                           | 18,295,571.54 | 14,230,695.15             |

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (32 00 კოდზე) მიზნობრივი გრანტების სალარე ანგარიშებზე ჩამორიცხულია ჯამურად **28,246,810.83** ლარი (იხილეთ საქართველოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი გრანტების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით“ ინფორმაცია), საანგარიშო პერიოდში მიზნობრივი გრანტების საკასო ხარჯმა ეროვნულ ვალუტაში შეადგინა **18,295,571.54** ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოს 31.12.2019 წლის მდგომარეობით ნაშთი აღნიშნულ ანგარიშზე შეადგენს **14,230,695.15** ლარს, რომელიც ასახულია კონსოლიდირებული ბალანსის ანგ. N1240-ზე. ასევე დანართი N2 საკასო და დარიცხულის შესაბამის უჯრაში.

კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახულია **სასაქონლო ფორმით** მიღებული გრანტები ჯამში **119'000'659,55** ლარის ოდენობით, ასევე ხარჯებში გატარებულია სასაქონლო გრანტების ფორმით გაცემული მატერიალური ფასეულობები ჯამურად **112'878'574** ლარი. აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე დანართი N2, დანართი N5 და დანართი N13 სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

#### ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსურ აქტივებზე და მოთხოვნებზე დარიცხული ჯარიმები და სანქციები ასახულია აქტივების ცალკე ანგარიშზე N1354. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და „ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ საბიუჯეტო კლასიფიკაციით განხორციელებული გადახდებით. მცირე ნაწილია ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მომსახურების და აქტივების მიწოდებით, ასევე სხვა მიწოდებებით წარმოქმნილი ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანებები. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება. მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

სამინისტროს ნაერთი **დებიტორული** დავალიანება 31.12.2019 წლის მდგომარეობით შეადგენს **329'245'351** ლარს. **ელიმინირებულია 73'097'085 ლარი**, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანება შეადგენს **256'148'266** ლარს. იხილეთ ელიმინირების ცხრილი ცალკეული პროგრამული კოდების, ანგარიშების და ორგანიზაციების მიხედვით. 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსიდან ამოღებულია და საცნობარო მუხლის N3 ანგარიშზე - გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება - გადატანილია - **15'427'668** ლარი გადახდისუუნარო დებიტორების დავალიანებები.

ფინანსური აქტივები წარმოდგენილია აქტივების და სხვა კაპიტალის სახით ინფორმაცია, რომელიც ასახულია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლის თანდართულ განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ: **ანგ. N1330** აქტივები და სხვა კაპიტალის ანგარიშზე 2019 წლის 1 იანვრისთვის და ასევე 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ირიცხება ნაშთი **514'181** ლარი. აღნიშნული თანხები

წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „უნი ინვესტ“-ში (ს/კ205285519) ჩადებულ კაპიტალს (პარტიონების წილის 100%-იანი მფლობელია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 204861970)). თანხების ჩარიცხვა მოხდა:

- / 2009 წელს 10'881 ლარის ოდენობით,
- / 2012 წელს 400'000 ლარის ოდენობით,
- / 2013 წელს 103'300 ლარის ოდენობით.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შპს „უნი ინვესტ“-ი (ს/კ205285519) დაფუძნებულია 2009 წელს (პარტიონების წილის 100%-იანი მფლობელია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 204861970)), ხოლო თავის მხრივ შპს „უნი ინვესტ“-მა (ს/კ205285519) 2012 წელს დააფუძნა შპს „ინოვესტი“ (ს/კ406066625) (პარტიონების წილის 100%-იანი მფლობელია „შპს „უნი ინვესტ“-ი (ს/კ205285519)). უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის N5 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაფუძნებულ იურიდიული პირებს შპს „უნი ინვესტ“-ს (ს/კ205285519) და შპს „ინოვესტს“ (ს/კ406066625) შეჩერებული აქვთ ფინანსური საქმიანობა. შესაბამისად, იმის გამო რომ ეს კომპანია დღეისთვის აღარ ახორციელებს რაიმე სახის აქტივობებს, 2014 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ნაშთი უცვლელი რჩება“.

სამინისტროს ნაერთის ანგ. N1351 - საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტი - 31.12.2019 წლის მდგომარეობით ირიცხება სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის გამო შპს „ატრიუმ“-ს სამინისტროს სასარგებლოდ ერიცხება გადასახდელი პროცენტის სახით 84'000.00 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის N891 განკარგულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში შპს „ატრიუმ“-ის მიერ 6 კაფე-ბარის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში დროულად გაშვების მიზნით - საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოყოფილი 300'000 (სამასიათასი) ლარი შპს „ატრიუმ“-ზე სესხის გასაცემად;

(სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 08 მაისის სააღმსრულებლო ფურცლის თანახმად საქმე N2/13873-12 გადაწყვეტილებით:

1. მოპასუხე შპს „ატრიუმ“-ს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 394'865,61 ლარის (სესხის ძირითადი თანხა 300'000 ლარი, პირგასამტეხლო 10'865,13 ლარი, პროცენტის სახით მიუღებელი შემოსავალი 83'999,88 ლარი);
2. შპს „ატრიუმ“-ს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 210 ლარის გადახდა ყოველდღიურად, 2012 წლის 23 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ატრიუმ“-ს სამინისტროს სასარგებლოდ ერიცხება გადასახდელი პროცენტის სახით 84'000 ლარი, რომელიც სპორტის კომპონენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ანგ. N1351 - საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტი, ხოლო პირგასამტეხლოს სახით 562'325.13 ლარი, რომელიც ასახულია ანგ. N1354 - სხვა დანარჩენ მოკლევადიან ფინანსურ აქტივებში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უფლებამონაცვლე 2018 წლის 12 ივლისიდან - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაცემული სესხების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ივნისის №180 ბრძანებით დამტკიცებული რეესტრის ფორმის შესაბამისად წარადგენს ინფორმაციას ყოველი თვის 20 რიცხვამდე.

სპორტის კომპონენტის ფინანსურ ანგარიშგების ანგ. N1511 - გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები - 01.01.2019 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 505'501 ლარი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 12 იანვრის N18 განკარგულების (მასში 2010 წლის 27 იანვრის N87 და 2010 წლის 2 მარტის N278 განკარგულებებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) თანახმად, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი, შპს „მონიოსათვის“ სესხის გასაცემად, ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე, შპს „მონიოს“ კუთვნილი საცურაო აუზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესრულებისათვის საიდანაც 2019 წელს დიფარა და დაიხურა 205'474 ლარი. რაც ასახულია დანართი N4-ში - ფინანსური აქტივების კლება-სესხები.

სპორტის კომპონენტის ფინანსურ ანგარიშგების ანგ. N1520 - აქციები და სხვა კაპიტალი - ასახულია 84'823'405 ლარი, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს მართვაში გადმოცემული სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო „სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2013-2017 წლებში გამოყოფილ თანხებს. თანხები საწარმოს კაპიტალში ინვესტირებულ იქნა:

- ა) 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის;
- ბ) ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სპორტული ობიექტების მოწყობისათვის (სამი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის: ბათუმი, გორი, თელავი) საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით.

სამინისტროს დN1-ის ანგ N1540 - სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები ასახული ძირითადად სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებიტორული დავალიანებები - საზღვარგარეთ, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს მოქალაქეების სწავლისათვის (ბაკალავრიატის, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებზე) სასწავლო სასტიპენდიო პროგრამით გათვალისწინებული წინასწარ გადარიცხული თანხები.

#### ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ - საბიუჯეტო დაფინანსების შემთხვევაში - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილ ძირითად აქტივებს - საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. ძირითადი აქტივების დაჯგუფება ხდება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და ცვეთის დარიცხვის მიზნით ძირითადი აქტივების სააღრიცხვო ჯგუფები არ იქმნება. კანონმდებლობით ძირითადი აქტივებიდან ცვეთა არ



ერიცება - საბიბლიოთეკო ფონდებს, კულტივირებულ აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს. ცვეთის თანხის აკუმულირება არ ხდება და დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც **ძირითადი კაპიტალის მოხმარება** ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად, 2019 წლის ცვეთის ღირებულება ჯამში შეადგენს **58'549'320** ლარს. ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განხილულია როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

**სამინისტროს კონსოლიდირებული ფინ. ანგარიშგების ანგ. N2510 და ანგ. N2520 ანგარიშებზე ირიცება აქტივები, კერძოდ:**

| N          | ორგანიზაცია                                                                     | ანგ.25<br>10   | ანგ.252<br>0  |
|------------|---------------------------------------------------------------------------------|----------------|---------------|
| 1          | სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი | 290'983        |               |
| 2          | სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი                                  | 327'777        | 14'960        |
| 3          | სსიპ – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი                                   |                | 13'600        |
| <b>სულ</b> |                                                                                 | <b>618'760</b> | <b>28'560</b> |

სამინისტროს სამმა ორგანიზაციამ მათ შორის:

სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრმა

სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა

სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა

გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაცია და მოახდინა არაფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება და აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად საინვესტიციო ქონებად აღიარა 653'570 ლარის ღირებულების შესაბამისი აქტივები, მათ შორის:

1) სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი- 293'922 ლარის ღირებულების შენობის ნაწილი;

2) სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი- 331'088 ლარის ღირებულების შენობის ნაწილი და 14'960 ლარის ღირებულების მიწის მონაკვეთი;

3) სსიპ – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი-13'600 ლარის ღირებულების მიწის მონაკვეთი.

1. სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ“ს გააჩნია იჯარით აუქციონის საფუძველზე გაცემული ფართები 3 წლის ვადით: 1. შპს „ლიბოპი“ -94,93 კვ.მ, ასევე 2. სს„ქართუ ბანკი „ – 2,5 კვ.მ. აღნიშნული ფართის ღირებულება შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, სადაც აფასებული იქნა შენობა ნაგებობის საბაზრო ღირებულება, ფასი განსაზღვრულია -1 კვ.მ. ის - 1100 \$ დოლარის ექვივალენტით, თარიღი : 21.06.2019 დოლარის კურსი განისაზღვრა -2,7425 ლარი. აქედან გამომდინარე ფართის ნაწილი რაც გაცემულია იჯარებით, გაანგარიშებული იქნა და საინვესტიციო ქონების ანგარიშზე იქნა ასახული ბუღალტრული გატარებებით,

1. შპს „ლიბოპი „ ფართი 94,93 კვ.მ. \* (1100\$\*2,7425) = 286'380.08

2. სს„ ბანკი ქართუ“ (ბანკომატის იჯარა) ფართი -2,5 კვ.მ. \* (1100\$\*2,7425)= 7'541,88

2. სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, თბილისში აღმაშენებლის 64 შე მდებარე შენობაში 214 კვ.მ კომერციული ფართი (ხელშეკრულება N 1 28.02.2011წ ღირებულებით 327'697ლარი) და 440 კვ.მ მიწის ნაკვეთი - ეზო (ხელშეკრულება N 5 28.06.2013წღირებულება 14'960 ლარი) აუქციონის წესით 10 წლის ვადით იჯარით გაცემულია შპს „ფოლკ გარდენ ფაინ ფულ ენდ კატერინგზე“. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N40-ის შესაბამისად საინვესტიციო ქონება შეფასებულია თვითღირებულებით (გაანგარიშებულია 1კვ.ღირებულების ფასი გამრავლებული იჯარით გაცემული ფართის რაოდენობაზე.) და გაყოფილია შენობის ღირებულებაზე, სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

3. სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალურმა ცენტრმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, განახორციელა ცენტრის მფლობელობაში არსებული 400 კვ. მ. მიწის ნაკვეთის გაქირავება 25 წლის ვადით, აუქციონის წესით, ფულადი შემოსავლებისა და სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით.

### მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის „ფიფო“ მეთოდი. მატერიალურ მარაგებში ასახულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შეძენილი საქონელი და ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს: ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე (მიუხედავად გამოყენების ვადისა) ან გამოყენების ვადა არ აღემატება ერთ წელიწადს (მიუხედავად ღირებულებისა).

### ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ბუღალტრულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც ფინანსური ვალდებულებები, ძირითადად, შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და GFS - 2001 მეთოდოლოგიას, თუმცა, ამავე დროს, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS)) შესაბამისად, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც ძირითადად წარმოშობილია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული ოპერაციებიდან. მათ შორის საანგარიშო პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენენ უმნიშვნელო ნაწილს მთლიან დავალიანებაში. ძირითადი ნაწილი დავალიანების არის წინა წლებში განხორციელებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი.

ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებში დიდია დარიცხვის ოპერაციებით წარმოქმნილი ვალდებულებების წილი, რომელთა მიხედვით საკასო ოპერაციები არ განხორციელებულა

2018 წელს ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მიერ სს „თიბისი“ ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხი 650,000 ევრო (ანგ.N3312- 2,040,090 ლარი) 2019 წლის 1 მარტისთვის სრულად იქნა დაფარული და ახალი სესხის თანხა შეადგენს 2'086'175 ლარს. ხოლო, N3331 და N3332 ანგარიშებზე ნაშთის ზრდა გამოწვეულია ოპერის მიერ სპექტაკლის კოსტუმების, დეკორაციების და რეკვიზიტების იჯარისა (1,668,489 ლარი) და სპექტაკლის დადგმის უფლებებზე (75920 ლარი) გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღებით.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნაერთი კრედიტორული დავალიანება 31.12.2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 134'280'285 ლარს, ელიმინირებით ამოთხულია 73'097'085 ლარი, რის შედეგადაც კრედიტორული დავალიანება რჩება 61'183'200 ლარი ბალანსის დანართი N1-ში. 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსიდან ამოღებულია და საცნობარო მუხლის მე-13 ანგარიშზე - ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება - გადატანილია - 1'658'016 ლარი ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება.

#### კაპიტალი

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამატალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას) შორის სხვაობა, კორექტირებულია ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის აქტივების/ვალდებულების უსასყიდლოდ გადაცემის და მიღების შედეგად აქტივების/ვალდებულებების ზრდის/კლების მაჩვენებლით, საკასო შემოსავლების მიღებით ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებით და აქტივების და ვალდებულებების ოპერაციების გარეშე წმინდა ცვლილებით (მოგება/ზარალი ფლობიდან და აქტივების/ვალდებულებების სხვა მოცულობითი ცვლილება GFS-2001 მიხედვით).

სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ბალანსის კაპიტალში 01.01.2019 წლის დასაწყისის ნაშთში განხორციელდა თანხობრივად ცვლილებები გარკვეული ორგანიზაციების გასვლით საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონტროლიდან და ასევე მიზნობრივი გრანტების ფულის დაბრუნებით და საწყის ფულის ნაშთში ასახვიდან გამომდინარე:

შემცირებულია ანგ.N5100 – 9'253'888 ლარით,

ფორმა N4-ის გადანგარიშებული საწყისი ნაშთი შესაბამისობაშია ფორმა N1-ის და დანართი N1-ის კაპიტალის საწყის ნაშთებთან.

#### გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე სსიპ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გასულ წლებში მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი. შემოსავლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციებს (გარდა სსიპ-ებისა) უფლება არა აქვთ მიღებული შემოსავლები გამოიყენონ საკუთარი მიზნებისთვის. ბიუჯეტის შესრულება ხდება საკასო მეთოდით. შედეგად, შემოსავლების საკასო შესრულების შემთხვევაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებს წარმოეშობათ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება. „წმინდა ღირებულების“ ანგარიშში მითითებული სადებეტო ჩანაწერი - „ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება“ წარმოადგენს საკრედიტო ჩანაწერში მითითებული მთლიანი შემოსავლებიდან ფულადი ფორმით მიღებული შემოსავლების მოცულობას, რომელიც ირიცხება ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი - არაფულადი ფორმით მიღებულ შემოსავლებს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საბიუჯეტო ორგანიზაციას. შემოსავლები მოიცავს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტიდან გამოყოფილ დაფინანსებას. ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე სსიპ-ების საკუთარი შემოსავლები აღრიცხულია საბიუჯეტო სახსრებიდან გამოცალკავებით - არ ითვალისწინებს ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებულია სსიპ-ის მოგება/ზარალი საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით და მიღებული მოგება/ზარალი ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - „გაუნაწილებელი მოგება“ ან „დაუფარავი ზარალი“.

სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ბალანსის გაუნაწილებელი მოგებაში 01.01.2019 წლის დასაწყისის ნაშთში განხორციელდა თანხობრივად ცვლილებები გარკვეული ორგანიზაციების გასვლით საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონტროლიდან და ასევე გარკვეული წინა პერიოდის შეცდომების გასწორების შედეგად, კერძოდ:

შემცირებულია ანგ.N5220 -3'004'574 ლარით;

ფორმა N4-ის გადანგარიშებული საწყისი ნაშთი შესაბამისობაშია ფორმა N1-ის და დანართი N1-ის კაპიტალის საწყის ნაშთებთან.

#### შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ხაზინის 2019 წლის ანგარიშგებაში, სამინისტროს ეკონომიკური საქმიანობიდან საკასო შემოსავალი და სამინისტროს იგივე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების N2 დანართში ასახული ეკონომიკური საქმიანობიდან საკასო შემოსავლები განსხვავდება, რაც გამოწვეულია სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სკოლების მიერ კომერციულ ბანკებში მათ საბანკო ანგარიშებზე მიღებულ შემოსავლებთან, რომელსაც არ გაუვლია ხაზინის ოპერაციები. ასევე უნივერსიტეტების ბანკში არსებულ ანგარიშებზე უცხოელი სტუდენტების სწავლის ქირით მიღებული შემოსავლებით. ასევე აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო კლინიკებში ასევე ფუნქციონირებს სადღეღამისო სალაროები, სადაც ხდება ნაღდი ფულის მოძრაობები.

#### ხარჯები

ხარჯების სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც საოპერაციო (მიმდინარე) ხარჯები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში, ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული პერიოდის დანახარჯები. საბიუჯეტო სახსრებით წარმოდგენილი ხარჯები არ არის დაკავშირებული შემოსავლების მიღებასთან. ის დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდში მიღებულ დაფინანსებასთან და პერიოდის დასაწყისისთვის მოთხოვნების სახით რიცხულ წინა წლებში მიღებულ დაფინანსებასთან.

#### საკასო ხარჯები:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი N2 ბიუჯეტის საკასო ხარჯები შეადგენს :

|    |                             |                  |
|----|-----------------------------|------------------|
| 00 | ჯამური                      | 1,643,940,004.57 |
| 2  | ხარჯები                     | 1,471,594,074.57 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 170,378,380.00   |
| 33 | ვალდებულებების კლება        | 1,967,550.00     |

რომელიც შესაბამისობაშია ხაზინის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით **32 00** კოდის გადახდებთან.  
**დანართი N2 - ის არასაბიუჯეტო სახსრებით** საკასო ხარჯებია ჯამში **384,412,869.92**:

|           |                                    |                       |
|-----------|------------------------------------|-----------------------|
| <b>00</b> | <b>ჯამური</b>                      | <b>384,412,869.92</b> |
| <b>2</b>  | <b>ხარჯები</b>                     | <b>337,016,087.54</b> |
| <b>31</b> | <b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b> | <b>47,396,782.38</b>  |

საკასო ხარჯები განსხვავდება ხაზინის საკუთარი სახსრებით **32 00** კოდის გადახდებთან, ჯამში **15'042'923** ლარი, განაპირობა საჯარო სკოლების კუთვნილი, კომერციულ ბანკების ანგარიშებზე, სამინისტროდან ჩარიცხული ვაუჩერის თანხებიდან განხორციელებულმა საკასო ხარჯებმა, რომელსაც არ გაუვლია ხაზინის ოპერაციები, მათ შორის:

|           |                                    |                      |
|-----------|------------------------------------|----------------------|
| <b>00</b> | <b>ჯამური</b>                      | <b>15,042,923.00</b> |
| <b>2</b>  | <b>ხარჯები</b>                     | <b>3,258,693.00</b>  |
| <b>31</b> | <b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b> | <b>11,784,230.00</b> |

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდას - ნაერთის **ფორმა N3** ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში - არაფინანსური აქტივების საკასო შესყიდვა ჯამურად შეადგენს **217'074'116** ლარს მათ შორის :

**ფორმა N3** -ში არაფინანსური ხარჯები **საბიუჯეტო წყაროდან - 170'378'380** ლარს, საიდანაც ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი - **მესამე პირის გადახდებშია გადატანილი** - ძირითადი აქტივები - 34,970,286,02 ლარი. სამინისტროს 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 32 14 პროგრამული კოდით **ათასწლეულის გამოწვევა** (საქართველოს - მეორე პროექტი, რომლის საინვესტიციო პროექტების შესრულება- პირდაპირი ჩარიცხვებით (ასახულია ფორმა N3-ში) საინვესტიციო საქმიანობაში **მესამე პირის** გადახდებში, ძირითადი აქტივების შემენაში 34,970,286,02 ლარი (იხ. <http://treasury.ge/5713> საინვესტიციო პროექტების შესრულება - პირდაპირი ჩარიცხვები)

ფორმა N3 -ში **არასაბიუჯეტო სახსრებში** ფიქსირდება - 46'695'735 ლარი (დN3 - **47'396'782,38-701'047 (მატ. მარაგები)**) ლარი, მათ შორის **11'784'230** ლარი საჯარო სკოლების კუთვნილი, კომერციულ ბანკების ანგარიშებზე, სამინისტროდან ჩარიცხული ვაუჩერის თანხებიდან განხორციელებული საკასო ხარჯებია, არაფინანსური აქტივების შესყიდვის მიზნით, რომელსაც არ გაუვლია ხაზინის ოპერაციები.

**გადასახადების გაანგარიშება და გადახდა საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით** - სამინისტროს ერთეულების მიერ გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა სახელმწიფო სექტორში მოქმედი აღრიცხვის და ანგარიშგების ნორმებით და პრინციპებით, რომელიც განსხვავდება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისგან.

**ელიმინირება** - კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების შედგენის დროს - სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს ერთეულებს შორის **დაფინანსების** ელიმინირება განხორციელებულია **სრულად**, მოთხოვნების და ვალდებულებების ელიმინირება განხორციელებულია ერთეულებს შორის, საანგარიშო პერიოდში შიდა ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის:

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების **დებიტორულ დავალიანებებსა და კრედიტორულ დავალიანებებს** შორის განხორციელებულია ელიმინირება და 2019 წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების სალდო შემცირებულია **73'097'085** ლარით, **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მოთხოვნების და ვალდებულებების ელიმინირების ცხრილი**. ელიმინირებულია აქტივებიდან:

|                |                   |
|----------------|-------------------|
| N 1355         | 58,714            |
| N 1431         | 27,648,081        |
| N 1432         | 283,891           |
| N 1480         | 45,106,400        |
| <b>დებეტი</b>  | <b>73,097,085</b> |
| N 3210         | 174,847           |
| N 3282         | 72,897,039        |
| N 3286         | 25,200            |
| <b>კრედიტი</b> | <b>73,097,085</b> |

სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციით სამინისტროს 2019 წლის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2 ბიუჯეტის დაფინანსებიდან ამოთიშულია:

32 04 02 01 სახელმწიფო სასწავლო გრანტი - 69'083'916,48 ლარი;

32 04 02 02 სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი - 3'552'050 ლარი;

32 04 02 04 ცოდნის კარი - 912'346,73 ლარი;

32 04 02 05 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწ. დაფ. - 1'190'625 ლარი;

32 04 02 07 მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 928'380 ლარი;

32 04 02 03 01 სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს -4'800 ლარი;

სულ უმაღლესმა სასწავლებლებმა 75'672'118,21 ლარი.

ასევე 32 03 01 01 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა, 2019 წლის ვაჭერული დაფინანსება მიიღო:

საბიუჯეტო კოლეჯებმა - 14'451'157,10 ლარი;

უმაღლესმა სასწავლებლებმა - 4'337'230,29 ლარი;

სკოლამ -39'96473 ლარი.

სულ 32 03 01 01 - კოდიდან 18'828'352,12 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელდა ფორმა N2 ბიუჯეტის დაფინანსებიდან ჯამურად 94'500'470,33 ლარის (75'672'118,21+18'828'352,12) ამოთიშვა, როგორც დაფინანსებიდან ასევე სხვა ხარჯების მუხლიდან, რადგან აღნიშნულ თანხებს მიმღები ორგანიზაციები ასახვევ ანგარიშსწორებით შემოსავლებში და ხარჯებში, რის საფუძველზეც ხდება შემოსავლების და ხარჯების ნაწილში გაორება. რაც შეეხება სკოლების ვაუჩერს ამის ელიმინირება და ამოთიშვა შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო თვითონ 32 02 01 - პროგრამულ კოდში რადგან სკოლებს ვაუჩერი ერიცხებათ კომერციულ ბანკებში და შესაბამისად ამავე კოდში განხორციელდა ელიმინაცია.

დანართები

ბუღალტრული ანგარიშგება ასევე მოიცავს დამატებით ინფორმაციას დანართების სახით არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შესახებ.

ეკონომიკური დეპარტამენტის

უფროსის მოდგილე

ნანა ხმალაძე

## კონსოლიდირებული ერთეულები

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.
2. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
3. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
4. სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
5. სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.
6. სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.
7. სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.
8. სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი.
9. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
10. სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.
11. სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
12. სსიპ – გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.
13. სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.
14. სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია.
15. სსიპ – 2 086 საჯარო სკოლა.
16. სსიპ – 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – უნივერსიტეტი.
17. სსიპ – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – 36 კოლეჯი.
18. საგანმანათლებლო რაიონული რესურსცენტრი – 66.
19. სახელმწიფო თეატრი – 29.
20. მუზეუმი – 19.
21. სახელმწიფო ანსამბლი – 4.
22. ორკესტრი/მუსიკალური ცენტრი – 9.
23. სსიპ – შემოქმედებითი საქართველო.
24. სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
25. სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.
26. სსიპ – მწერალთა სახლი.
27. ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი.
28. სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.

## საკონტაქტო ინფორმაცია

### ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>  
<https://www.budgetmonitor.ge/ka>  
<http://www.blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

### ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

### ელექტრონული ფოსტა

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)



სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38